

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

Grigol Robakidze University

ხელნაწერის უფლებით

With the right of manuscript

ანა კუჭუხიძე

Ana Kuchukhidze

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს როლი  
სამართლის პოლიტიკის ფორმირებაში

The Role of the Constitutional Court of Georgia in the Forming of  
Law Police

საგანმანათლებლო პროგრამა: სამართალი  
Educational programme: Law

დისერტაცია წარდგენილია სამართლის დოქტორის  
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად  
Thesis is presented for obtaining of the Dr. of Law Academic Degree

რეზიუმე

Abstract

თბილისი

Tbilisi

2021

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ანა კუჭუხიძე

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს როლი  
სამართლის პოლიტიკის ფორმირებაში

საგანმანათლებლო პროგრამა: სამართალი

დისერტაცია წარდგენილია სამართლის დოქტორის  
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

რეზიუმე

თბილისი

2021

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

მეცნიერ-ხელმძღვანელი:

**ანა ფირცხალაშვილი,**

სამართლის დოქტორი,

პროფესორი

დისერტაციის დაცვის თარიღი გამოქვეყნდება  
უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე [www.gruni.edu.ge](http://www.gruni.edu.ge)

დისერტაციის დაცვა შედგება გრიგოლ რობაქიძის  
სახელობის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის  
საატესტაციო - საექსპერტო კომიტეტის სხდომაზე

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია გრიგოლ  
რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის  
ბიბლიოთეკაში, თბილისი, ირინა ენუქიძის №3  
(აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ)

**სარჩევი:**

|  |    |
|--|----|
| შესავალი.....                                | 5  |
| სამეცნიერო ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა ..... | 14 |
| მეთოდოლოგია და კვლევის აღწერა.....           | 15 |
| კვლევის შედეგები.....                        | 23 |
| განსჯა და მეცნიერული მიგნებები .....         | 23 |
| დასკვნები და რეკომენდაციები .....            | 26 |

## შესავალი

### კვლევის აქტუალობა

თანამედროვე მსოფლიოში, როდესაც ყველა სამართლებრივი სახელმწიფოს მიზანია დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა და განვითარება, პრიორიტეტული მნიშვნელობა ენიჭება ნორმატიული აქტების ხარისხსა და მათ ეფექტიანობას, სამართლებრივი სისტემის დახვეწასა და საერთაშორისო სტანდარტებთან მის ჰარმონიზაციას. აღნიშნული მიზნის მიღწევა შეუძლებელია სათანადო სამართლის პოლიტიკის გარეშე, ვინაიდან, სამართლებრივი აქტები სწორედ სამართლის პოლიტიკის გამოხატულებაა. სწორედ ასეთი მნიშვნელობის გამო აუცილებელია ისეთი კვლევების არსებობა, რომელიც წარმოაჩენს სამართლის პოლიტიკის ფორმირების გზებსა და საშუალებებს.

სამართლის პოლიტიკაზე საუბრის დროს, უპირველეს ყოვლისა, უნდა დაზუსტდეს ამ საკითხის იურიდიულ ჭრილში კვლევის აუცილებლობა. ჰანს კელზენი (1881-1973) თავის ცნობილ ნაშრომში „სამართლის წმინდა სწავლება“ (1934) წერდა: სამართალი ცდილობს გასცეს პასუხი კითხვას - რა არის სამართალი და არა კითხვას - როგორი უნდა იყოს ის. ეს მეცნიერებაა და არა პოლიტიკა. მას არაფერი აქვს საერთო ისეთ არაიურიდიულ ფაქტორებთან, როგორცაა პოლიტიკა, მორალი, რელიგია და ეთიკა. შესაბამისად, იგი მიიჩნევა, რომ იურიდიული მეცნიერების შესწავლის ობიექტია სამართალი და არა პოლიტიკა.

თანამედროვე ეტაპზე იურისტთა ნაწილი კვლავ იზიარებს იმ პოზიციას, რომ პოლიტიკა და მასთან დაკავშირებული საკითხები არ არის სამართლის საქმე. მაგალითად, ვ. წითლაური თავის სტატიაში „ქართული სისხლის სამართლის პოლიტიკის ზოგიერთი საკითხების განსაზღვრისთვის“ წერს: ზოგადად, ვეთანხმებით გერმანელი მეცნიერის ჰანს კელზენის მოსაზრებას, რომელიც აღნიშნავს, რომ სამართლის მეცნიერებას შეუძლია და უნდა მოწყდეს პოლიტიკას, თუ მას

მეცნიერულობის პრეტენზია გააჩნია. თუმცა, შემდეგ აზვაცში თავადვე განმარტავს, რომ არის მთელი რიგი შემთხვევები, როცა ამ უკანასკნელთა მჭიდრო ურთიერთობა აუცილებელ გარემოებას წარმოადგენს პოზიტიური სამართლის განვითარებისათვის. სწორედ მართებული პოლიტიკის გატარების შედეგად ხდება სამართალი განვითარებადი და ქმედითი. ამდენად, იურიდიული მეცნიერებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ისეთი კვლევების არსებობა, სადაც წარმოჩენილი იქნება სამართლის პოლიტიკის არსი, სუბიექტები, რომლებიც გავლენას ახდენენ მის ფორმირებაზე და მათი უფლებამოსილება.

მოცემულ სადისერტაციო ნაშრომში განხილულია სამართლის პოლიტიკის ერთი კონკრეტული სუბიექტის - საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს როლი სამართლის პოლიტიკის ფორმირების საქმეში.

ობიექტური დამკვირვებლისთვის ნათელია, რომ დაარსების დღიდან იზრდება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს როლი - იგულისხმება, როგორც კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების მოცულობა, ისე, უპირველესად, თავად საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკული საქმიანობის ფარგლები. აღნიშნულის პროპორციულად სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს სამართლის პოლიტიკაზე საკონსტიტუციო სასამართლოს გავლენის შესწავლა. მოცემულ სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობისას ქართულ სამართლებრივ სივრცეში ვერ მოვიპოვეთ ნაშრომი, რომელიც შეისწავლიდა საკონსტიტუციო სასამართლოს გავლენას სამართლის პოლიტიკის განვითარებაზე. თუმცა, 2018 წელს გამოქვეყნდა დ. გეგენავას სტატია „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო: პოზიტიური კანონმდებლობის მცდელობა და გამოწვევები“, რომელიც პოზიტიური კანონმდებლის ჭრილში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის განხილვასთან ერთად სამართლის პოლიტიკის გარკვეულ საკითხებსაც შეეხება. ეს არის ერთ-ერთი ნათელი ილუსტრირება იმისა, რომ

განსახილველი საკითხის სამეცნიერო კვლევის საჭიროება არსებობს სწორედ მოცემულ დროსა და სივრცეში.

უდავოა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირებასა და სამართლის პოლიტიკის განვითარებაში, თუმცა სამართლის პოლიტიკის ფორმირების პროცესში საკონსტიტუციო სასამართლოს შესაძლებლობების ეფექტურად გამოყენებისათვის აუცილებელია წარმოჩინდეს და გაანალიზდეს ის კონკრეტული უფლებამოსილებები და ბერკეტები, რითაც საკონსტიტუციო სასამართლო გავლენას ახდენს სამართლის პოლიტიკაზე. სწორედ ამიტომ, სადისერტაციო ნაშრომი არის მცდელობა, დადგინდეს სამართლის პოლიტიკისა და კონსტიტუციურ-სამართლებრივი პოლიტიკის არსი და გამოიკვეთოს ის ბერკეტები, რითაც საკონსტიტუციო სასამართლო გავლენას ახდენს სამართლისა და კონსტიტუციურ-სამართლებრივი პოლიტიკის ფორმირებაზე. განსახილველი საკითხის ჭრილში მნიშვნელოვანი ინფორმაციის დაჯგუფებისა და წარმოჩენის პარალელურად, რიგ შემთხვევაში, აუცილებელია ცალკეული საკითხების სიღრმისეული ანალიზი. მაგალითად, ესპანეთის კანონი საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ყველას ავალდებულებს იმ სამართლებრივი დოქტრინის გამოყენებას, რომელიც საფუძვლად დაედო საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას. საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ საქართველოს კანონმდებლობა მსგავს ნორმას არ შეიცავს. ეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებისა და განჩინებების სამოტივაციო ნაწილის სავალდებულო ძალას მეცნიერული შესწავლის ობიექტად აქცევს.

აღსანიშნავია, რომ ბოლო დროს, არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მსოფლიოში, მუდმივი კრიტიკის ობიექტია საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოები და მათი უფლებამოსილებების ფარგლები. საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც ნეგატიური კანონმდებლის ფუნქცია, ფორმულირებულია ჰანს კელზენის მიერ და კარგად არის

ცნობილი იურისტებისთვის. თუმცა, თანამედროვე ეტაპზე იურისტთა არცთუ მცირე ნაწილი თვლის, რომ საკონსტიტუციო სასამართლო გასცდა „ნეგატიური კანონმდებლის“ ჩარჩოს, შეიჭრა კანონმდებლის ფუნქციებში და ჩამოყალიბდა როგორც „პოზიტიური კანონმდებელი“. ეს საკითხი აქტუალურია საქართველოშიც. ამის ცალსახა დასტურია ის ფაქტი, რომ ამ პრობლემას საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ 2020 წელს ორგანიზებულ კონფერენციაზე შეეხო საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ანრი ოხანაშვილი, რომელმაც განაცხადა: არის ხოლმე შემთხვევები და საკითხები, როდესაც შეიძლება [საკონსტიტუციო სასამართლო] ნეგატიურ კი არა პირდაპირ პოზიტიურ კანონმდებლადაც მოგვევლინოს. თუმცა, ეს თეორიული საკითხებია, სამეცნიერო საკითხები, რომელზეც სასურველია შემდგომშიც ვიმსჯელოთ. აღნიშნულის გათვალისწინებით სამართლებრივ მეცნიერებაში ხშირად ფიგურირებს ის მოსაზრებაც, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს ადგილიც სახელმწიფო ორგანოთა სტრუქტურაში უნდა გადაიხედოს.

ზემოთ წარმოდგენილი მეცნიერული ხედვისაგან განსხვავებით, მოცემული სადისერტაციო ნაშრომი არის მცდელობა დასაბუთდეს, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო არის სამართლის პოლიტიკის სუბიექტი, რომელიც ხელისუფლების დანაწილების პრინციპის დაცვით გავლენას ახდენს სამართლის პოლიტიკის განსაზღვრაზე და არა კვაზიპოზიტიური კანონმდებელი, რომლის საქმიანობაც ეწინააღმდეგება ხელისუფლების დანაწილების პრინციპს. ცხადია, საკონსტიტუციო სასამართლოს მიჩნევა კვაზიპოზიტიურ კანონმდებლად, ან სამართლის პოლიტიკის სუბიექტად, მხოლოდ იურიდიული გემოვნების საკითხი არ არის. შესაბამისი დასკვნების მისაღებად მნიშვნელოვანია საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებებისა და პრაქტიკის სისტემური ანალიზი და იმის დადგენა, თუ რამდენად შეესაბამება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებები ნეგატიური კანონმდებლის



სტატუსს. აღნიშნული პრობლემის ჭრილში შესწავლის ობიექტია საკითხთა ფართო სპექტრი. ამასთან, თითოეული საკითხი ხასიათდება სირთულით, ვინაიდან, ერთი მხრივ, მრავლად არსებობს ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებები და, მეორე მხრივ, უკანასკნელ წლებში იკვეთება ცვლილებები საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებულ საკონსტიტუციო სამართალწარმოების სტანდარტებში. ყოველივე ეს წარმოქმნის ამ საკითხების მეცნიერული კვლევისა და ანალიზის აუცილებლობას. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული საკითხების შესწავლას აქვს, როგორც თეორიული, ისე უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა, ვინაიდან, 2013 წლის 5 თებერვლის განჩინებაში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ თავადვე მიუთითა, რომ სასამართლოსათვის დაკისრებული ფუნქციის წარმატებით შესრულება თანაბრად შეუძლებელი იქნება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საკუთარი უფლებამოსილების როგორც სრულად გამოუყენებლობის, ასევე მისი გადამეტების შემთხვევაში.

ცხადია, საკონსტიტუციო სასამართლომ არ უნდა გადაამეტოს იმ უფლებამოსილებებს, რომელიც მას გააჩნია როგორც ნეგატიურ კანონმდებელს, თუმცა, მისი, როგორც სამართლის პოლიტიკის სუბიექტის საქმიანობის ეფექტურობისათვის აუცილებელია ისიც, რომ საქართველოს კანონმდებლობა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ანიჭებდეს მისი ფუნქციის წარმატებით განსახორციელებლად აუცილებელ ყველა საჭირო უფლებამოსილებას.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების მარეგულირებელი კანონმდებლობის შესწავლისას სადისერტაციო ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსათვის რეალური კონსტიტუციური კონტროლის უფლებამოსილების მინიჭების შესაძლებლობის კვლევას. რეალური კონსტიტუციური კონტროლი დამკვიდრებულია არაერთ ქვეყანაში და აღიარებულია ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით დადებითი ეფექტის მქონე

კომპეტენციად. საქართველოშიც არაერთხელ დადგა რეალური კონსტიტუციური კონტროლის უფლებამოსილებით საკონსტიტუციო სასამართლოს აღჭურვის საკითხი, თუმცა, დღემდე შესაბამისი ცვლილებები არ განხორციელებულა, რამაც განაპირობა სადისერტაციო ნაშრომში ამ საკითხით დაინტერესება. ამასთანავე, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში დანერგილი განსხვავებული სამართლებრივი მოდელებისა და ურთერთსაწინააღმდეგო მოსაზრებების ფონზე, სადისერტაციო ნაშრომში გაანალიზდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსათვის კონსტიტუციური კანონის კონსტიტუციურობის შემოწმებისა და საკანონმდებლო ხარვეზის საკითხზე მსჯელობის კომპეტენციის მინიჭების შესაძლებლობა და მათი დადებითი და უარყოფითი მხარეები. ასევე, მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო სოციალური უფლებების დაცვის კუთხით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების ფარგლების კვლევასაც. სოციალური უფლებების კუთხით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების ფარგლებზე გავლენა მოახდინა უკანასკნელი საკონსტიტუციო რეფორმის ფარგლებში განხორციელებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა. საქართველოს კონსტიტუციის 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქციის 39-ე მუხლის კონსტიტუციის მეორე თავიდან ამოღებითა და მისი კონსტიტუციის პირველ თავში გადატანით საკონსტიტუციო სასამართლოს წაერთვა ამ მუხლზე დაყრდნობით კონსტიტუციური სარჩელების განხილვის შესაძლებლობა. შესაბამისად, არსებობს მყარი საფუძველი ვარაუდისათვის, რომ ამ ცვლილებამ მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინა საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებათა ფარგლებზე და შეამცირა მისი გავლენა სოციალური სამართლის პოლიტიკის ფორმირებაზე. სწორედ ამიტომ, სადისერტაციო ნაშრომში განხილული და შეფასებულია აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილება.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების ფარგლებთან ერთად მნიშვნელოვანია

თავად საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა ვითარდებოდეს სწორი მიმართულებით, ვინაიდან, სათანადო საკანონმდებლო რეგლამენტაციის პირობებშიც კი, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა გამართლებელი თვითშეზღუდვა, არათანმიმდევრული პრაქტიკა, სამართალწარმოების არასწორი სტანდარტები და სასამართლოს აქტების დასაბუთებაში არსებული ხარვეზები, მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას ახდენს საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც ნეგატიური კანონმდებლის საქმიანობაზე და ამცირებს მის გავლენას სამართლის პოლიტიკის ფორმირებაზე. სწორედ ამიტომ, სადისერტაციო ნაშრომი არის მცდელობა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების დასაბუთებულობის ხარისხის, საკონსტიტუციო მართლმსაჯულებისა და სარჩელის დასაშვებობის პოლიტიკის შესწავლის გზით, ერთი მხრივ, მოხდეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის შესწავლის შედეგად მიღებული ცოდნის ფორმირება და სისტემატიზაცია, ხოლო, მეორე მხრივ, წარმოჩინდეს პრაქტიკაში არსებული წინააღმდეგობები და შეუსაბამობები - შემუშავდეს რეკომენდაციები ამ ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

საკონსტიტუციო მართლმსაჯულებისა და სარჩელის დასაშვებობის პოლიტიკის მიმართ განსაკუთრებული ინტერესი ეფუძნება იმ ფაქტს, რომ სამართლის პოლიტიკისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი განმარტებები ძირითადად გვხვდება არსებითი განხილვის შედეგად მიღებულ გადაწყვეტილებებში. შესაბამისად, სარჩელის დასაშვებობის პოლიტიკის ნაწილში არსებული ხარვეზები პირდაპირ გავლენას ახდენს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც ნეგატიური კანონმდებლის და როგორც სამართლის პოლიტიკის სუბიექტის ეფექტურობაზე. სადისერტაციო ნაშრომში, ასევე, გაანალიზდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ კონსტიტუციური ნორმის განმარტების უფლებამოსილების ფარგლები და კონსტიტუციური ნორმის ინტერპრეტაციის მეთოდების ის არსენალი, რომელიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გააჩნია. ამ

საკითხებისადმი ინტერესი განაპირობა იმ გარემოებამ, რომ სამართლის პოლიტიკისა და კონსტიტუციურ-სამართლებრივი პოლიტიკის უნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს კონსტიტუციური ნორმების ინტერპრეტაცია და ინტერპრეტაციის შედეგად ჩამოყალიბებული მიდგომები და სამართლებრივი დოქტრინები. კონსტიტუციური ნორმის ინტერპრეტაციის მეთოდებიდან სადისერტაციო ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო განმარტების შედარებით მეთოდს, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სამართლის პოლიტიკისა და კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაციის საქმეში. კონსტიტუციური სამართლის გლობალიზაციის საკითხის განხილვამ განსაკუთრებული აქტუალურობა 2017 წლის კონსტიტუციური რეფორმის ფონზე შეიძინა. საქართველოს კონსტიტუციის 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქციის 39-ე მუხლი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ანიჭებდა მის საქმიანობაში საერთაშორისო სამართლის ნორმების გამოყენების ფართო უფლებამოსილებებს. თუმცა, ეს მუხლი საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად მოექცა კონსტიტუციის პირველ თავში, რამაც გავლენა მოახდინა საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების ფარგლებზე. სადისერტაციო ნაშრომში განხილულია და შეფასებულია ამ საკანონმდებლო ცვლილების ეფექტი.

დასასრულს, უნდა ითქვას ისიც, რომ ქართულ ლიტერატურაში ხშირად განიხილება საკონსტიტუციო სასამართლო, როგორც ნეგატიური კანონმდებელი, ასევე, ხშირია მსჯელობა იმ საკითხზეც, გვევლინება თუ არა საკონსტიტუციო სასამართლო პოზიტიურ კანონმდებლად. თუმცა, აღნიშნულის პარალელურად, ფაქტობრივად არ არსებობს ნაშრომი, რომელიც ემსახურება საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც პოტენციური არბიტრის მნიშვნელობის წარმოჩენას. სწორედ ამიტომ, სადისერტაციო ნაშრომი არის მცდელობა საკონსტიტუციო სასამართლო წარმოჩინდეს არა მხოლოდ, როგორც ნეგატიური კანონმდებელი, არამედ პოტენციური არბიტრი, ანუ სუბიექტი, რომლის არსებობის ფაქტი უკვე

თავისთავად ახდენს გავლენას ქვეყანაში სამართლის პოლიტიკის სწორი მიმართულებით განვითარებაზე, რადგან ის აბალანსებს და გარკვეულ ჩარჩოებში აქცევს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას, მათ საქმიანობას და ინდივიდებთან ურთიერთობას.

### **კვლევის მიზანი**

შესწავლილ იქნას, საზოგადოდ, სამართლის პოლიტიკის არსი. წარმოჩინდეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, როგორც ამ პოლიტიკის ფორმირების ერთ-ერთი ძირითადი სუბიექტი. ამასთან, გამოვლინდეს ხელისშემშლელი ფაქტორები, როგორც სასამართლო პრაქტიკის, ისე კანონმდებლობის ფარგლებში. შემუშავდეს მეცნიერულად დასაბუთებული კონცეფცია, საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების ჩარჩოს განსაზღვრისათვის, ჩამოყალიბდეს მეცნიერული და პრაქტიკული რეკომენდაციები, რომელიც ხელს შეუწყობს საკონსტიტუციო სასამართლოს როლის გაზრდას სამართლის პოლიტიკის განსაზღვრის საქმეში.

### **კვლევის ამოცანები**

1) დაზუსტდეს „სამართლის პოლიტიკისა“ და „კონსტიტუციურ-სამართლებრივი პოლიტიკის“ ტერმინების დეფინიცია და გამოიკვეთოს სამართლის პოლიტიკისა და მისი ქვე დარგის კონსტიტუციურ-სამართლებრივი პოლიტიკის მნიშვნელობა სამართლის განვითარებაში;

2) გაანალიზდეს ის მახასიათებლები, რაც განაპირობებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც სამართლის პოლიტიკის სუბიექტის განსაკუთრებულობას და განასხვავებს მას სამართლის პოლიტიკის სხვა სუბიექტებისაგან;

3) გაანალიზდეს და შეფასდეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობა;

4) გაანალიზდეს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა და გამოვლინდეს ხარვეზები, ცალკეულ შემთხვევებში განხორციელდეს ამ პრაქტიკის სისტემატიზაცია;

5) შეფასდეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობა „პოზიტიური კანონმდებლის“ ჭრილში;

6) გაანალიზდეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც პოტენციური არბიტრის არსი.

### **ჰიპოთეზა**

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც სამართლის პოლიტიკის განმსაზღვრელი სუბიექტის ეფექტურობას, სავარაუდოდ, გაზრდის, თუ ჩამოყალიბდება მეცნიერულად დასაბუთებული კონცეფცია, სასამართლოს უფლებამოსილების განსაზღვრისათვის, რომელიც სრულად უზრუნველყოფს კონსტიტუციის უზენაესობის დაცვას, შექმნის მექანიზმს თანმიმდევრული და არაწინააღმდეგობრივი გადაწყვეტილების მისაღებად, გამორიცხავს მოსამართლეთა გაუმართლებელი თვითშეზღუდვის ფაქტებს.

### **სამეცნიერო ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა**

სამართლის პოლიტიკასთან დაკავშირებული ქართულენოვანი ნაშრომების სიმცირის მიუხედავად, საკონსტიტუციო სასამართლოს ფუნქციებისა და კომპეტენციის ფარგლების კვლევის ნაწილში აქტიურად არის გამოყენებული ქართველი მკვლევარების სამეცნიერო ნაშრომები, სახელმძღვანელოები და პუბლიკაციები. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს დ. გეგენავას, ქ. ერემადის, ბ. ზოიძის, გ. კახიანის, ბ. კოჭლამაზაშვილის, ბ. ლოლაძის, გ. მირიანაშვილის, ვ. მენაბდის, გ. ჩხეიძის, შ. ქობალიას, ნ. ჩოჩიას, ჯ. ხეცურიანისა და სხვათა შრომები. კვლევის პროცესში ასევე შესწავლილი იქნა უცხოელი მკვლევარების სამეცნიერო ნაშრომები. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს შემდეგი ავტორები: G. Britz, R. Britta, C. M. Miller, J. Barnes, C. Pinelli, J. Sovdat, E. Tanchev, A. Vereshchagin, G. Mesonis, R. French, Л.Н. Захарова, А. Малько, დ. გრიმი, ა. შაიო, ი. შვაბე, ჰ. შვარცი და სხვები. ზემოხსენებული ავტორების ნაშრომების შესწავლამ შესაძლებელი გახადა კვლევის ცალკეულ კომპონენტებთან დაკავშირებით არსებული მრავალფეროვანი

და, ზოგ შემთხვევაში, ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებების წარმოჩენა და ანალიზი.

სადისერტაციო ნაშრომში ძირითად ნორმატიულ ბაზად გამოყენებულია საქართველოს კონსტიტუცია, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონი და კვლევის საგანთან რელევანტური სხვა სამართლებრივი აქტები. სადისერტაციო ნაშრომში განსაკუთრებით დიდი ადგილი ეთმობა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის შესწავლას. ასევე გამოყენებულია გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, სტატისტიკური მასალები, სახალხო დამცველის ანგარიშები, ვენეციის კომისიის აქტები, ინტერნეტ რესურსები და სხვა დამატებითი წყაროები.

## **მეთოდოლოგია და კვლევის აღწერა**

### **სისტემური და ლოგიკური მეთოდი**

სამართლის მეცნიერებისათვის დამახასიათებელია სისტემური და ლოგიკური აზროვნება. სწორედ ამიტომ, სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებულია კვლევის სისტემური და ლოგიკური მეთოდი. კვლევის სისტემური მეთოდის საფუძველზე შესწავლილია სისტემა როგორც ერთი მთლიანობა და დადგენილია კავშირი ამ სისტემის კომპონენტებსა და მათში ასახულ სამართლებრივ პოზიციებს შორის. მოცემული კვლევის მიზნებისათვის სისტემა უნდა განიმარტოს როგორც მისი კომპონენტების - საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების, განჩინებებისა და საოქმო ჩანაწერების ერთობლიობა. სისტემურ ანალიზთან კომბინაციაში გამოყენებულ იქნა კვლევის ლოგიკური მეთოდი, რაც გულისხმობს შეგროვილი მონაცემების შეჯერებას, ლოგიკური წესების საფუძველზე დამუშავებასა და შედეგების დასკვნების სახით ფორმულირებას.

აღნიშნულის გათვალისწინებით სადისერტაციო ნაშრომში სისტემური და ლოგიკური კვლევის ობიექტია საქართველოს

საკონსტიტუციო სასამართლოს აქტები. კვლევის საგანს კი წარმოადგენს ა) კანონშემოქმედებით საქმიანობაზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გავლენის მოცულობა, ბ) საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს აქტების ხარისხი და გ) საკონსტიტუციო მართლმსაჯულების თავისებურებანი.

უნდა აღინიშნოს რომ სისტემური და ლოგიკური ანალიზი შეირჩა როგორც კვლევის მთავარი მეთოდები, რაც განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით:

1) საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებების გათვალისწინებით არსებობს იმის საფრთხე, რომ მან გადააბიჯოს სასამართლო და საკანონმდებლო ხელისუფლების ფუნქციებს შორის არსებულ უხილავ „გამყოფ ხაზს“ და სამართლის პოლიტიკის შემოქმედიდან იქცეს პოზიტიურ კანონმდებლად. ეს დააზარალებს ხელისუფლების დანაწილების პრინციპს. ამ კუთხით არსებული მდგომარეობის შეფასება და შესაბამისი დასკვნების გაკეთება შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების, განჩინებებისა და საოქმო ჩანაწერების სისტემური და ლოგიკური ანალიზის საფუძველზე.

2) საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც სამართლის პოლიტიკის სუბიექტის ეფექტურობას განაპირობებს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ხარისხი და მისი მზაობა თავის აქტებში სადაო სამართლებრივ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებები დააფიქსიროს არა ვიწროდ, არამედ განვრცობითად. სწორედ ასეთი გადაწყვეტილებები ქმნიან სამართლის პოლიტიკის განვითარებისათვის საჭირო საფუძველს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს აქტების ხარისხის შეფასება და სამართლის პოლიტიკის ფორმირების საქმეში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეალური როლის წარმოჩენა შესაძლებელია, უპირველეს ყოვლისა, სწორედ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის სისტემური და ლოგიკური ანალიზის საფუძველზე.



3) საკონსტიტუციო სასამართლოს აქტებიდან სამართლის პოლიტიკის განვითარებაზე, თავისი შინაარსიდან გამომდინარე, ყველაზე დიდ გავლენას ახდენენ მისი გადაწყვეტილებები. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც სამართლის სუბიექტის ეფექტურობისათვის მნიშვნელოვანი წინაპირობაა არსებითი განხილვის ეტაპზე გადასულ საქმეთა სათანადო რაოდენობა. კვლევისას გამოვლინდა, რომ არსებობს პრობლემები საკონსტიტუციო სარჩელების ხარისხთან დაკავშირებით. შესაბამისად, სადისერტაციო ნაშრომის ერთ-ერთ ამოცანად დაისახა საკონსტიტუციო მართლმსაჯულების პოლიტიკის კრიტიკული შესწავლა და საკონსტიტუციო სარჩელებისადმი წაყენებული მოთხოვნების სისტემატიზაცია. შესაბამისად, მოცემულ საკითხთან დაკავშირებითაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა წარმოადგენს ყველაზე ღირებულ წყაროს.

### **შედარებით-სამართლებრივი მეთოდი**

სადისერტაციო ნაშრომში შედარებით-სამართლებრივი მეთოდით კვლევის ობიექტია სახელმწიფოთა კონსტიტუციური კონტროლის ორგანოების საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობა, ხოლო კვლევის საგანი საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოების უფლებამოსილებათა თავისებურებები.

სხვადასხვა სახელმწიფოს კანონმდებლობის შედარებითმა ანალიზმა შესაძლებელი გახადა წარმოჩენილიყო მსგავსება-განსხვავებები ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორიცაა საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების ფარგლები. შედარებით-სამართლებრივი მეთოდის გამოყენების შედეგად მოხდა საკვლევ პრობლემატიკასთან მიმართებით სახელმწიფოთა გამოცდილების წარმოჩენა და ამ გამოცდილებისა და სხვა სახელმწიფოთა საუკეთესო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობის გაუმჯობესებისათვის შესაბამისი

რეკომენდაციების ჩამოყალიბება. შედარებით-სამართლებრივი მეთოდის გამოყენებისას ყურადღების მიღმა არ დარჩენილა ისიც, რომ შედარებითი მეთოდი, ისევე როგორც კვლევის ნებისმიერი სხვა მეთოდი, გარკვეული საფრთხეებითაც ხასიათდება. როდესაც საუბარია სამართლებრივი სისტემების, სასამართლოს უფლებამოსილებების მარეგულირებელი ნორმებისა და სასამართლო პრაქტიკის შედარებითი მეთოდით კვლევასა და ამ კვლევის შედეგად რეკომენდაციების შემუშავებაზე, მხედველობაშია მისაღები ის ფაქტი, რომ თითოეულ ქვეყანას გააჩნია საკუთარი ისტორია, კულტურა და სამართლებრივი რეალობა. აქედან გამომდინარე, არ არის მიზანშეწონილი სხვა სახელმწიფოთა თუნდაც წარმატებული გამოცდილების ხისტი კოპირება. ეს ფაქტორი გათვალისწინებულ იქნა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის გაუმჯობესებისაკენ მიმართული დასკვნებისა და რეკომენდაციების ჩამოყალიბების დროს.

აღსანიშნავია, რომ ვინაიდან მოცემული სადისერტაციო ნაშრომი არის სამართლის პოლიტიკის ფორმირების საქმეში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს როლის შესწავლის პირველი მცდელობა, ძირითადი აქცენტი, როგორც უკვე აღინიშნა, გაკეთდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის სისტემურ და ლოგიკურ ანალიზზე, რაც იძლევა მომავალში შედარებით-სამართლებრივი კვლევის მეთოდით საკვლევი პრობლემის უფრო სიღრმისეულად შესწავლის შესაძლებლობას.

### **ისტორიულ-აღწერილობითი მეთოდი**

სადისერტაციო ნაშრომში ისტორიულ-აღწერილობითი კვლევის მეთოდით კვლევის ობიექტია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა. კვლევის ობიექტების შესაბამისად კვლევის საგანს წარმოადგენს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მარეგულირებელი კანონმდებლობის განვითარების კურსისა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციების,

პრიორიტეტებისა და მიდგომების ცვალებადობის ეფექტი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობაზე.

კვლევის ისტორიულ-აღწერილობითი მეთოდის საფუძველზე სადისერტაციო ნაშრომში დამუშავდა ინფორმაცია საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობისა და მისი პრაქტიკის ისტორიული განვითარების შესახებ. ცხადია, როდესაც საუბარია ისეთ საკითხებზე, როგორცაა, კონსტიტუციური კონტროლი, ძირითადი უფლებები და კონსტიტუციურ-სამართლებრივი პოლიტიკა, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ კონსტიტუცია და სამართალი წარმოადგენს ცოცხალ ორგანიზმს, რომელიც იზრდება და ვითარდება საზოგადოებასთან ერთად. შესაბამისად, ისტორიული გამოცდილება შესაძლოა სახელმწიფოსა და საზოგადოების განვითარების გარკვეულ ეტაპზე აღარ იყოს რელევანტური კონკრეტულ საკითხთან მიმართებით, თუმცა ეს არ აკნინებს კვლევის ისტორიულ-აღწერილობითი მეთოდის გამოყენებით აკუმულირებული იმ ინფორმაციის ღირებულებას, რომელსაც შეიცავს სადისერტაციო ნაშრომი. კვლევის აღნიშნული მეთოდის გამოყენების შედეგად შესაძლებელი გახდა სადისერტაციო ნაშრომში იმ გზის ჩვენება, რისი გამოვლაც მოუწია კანონმდებლობას თუ სასამართლოს და იმ შეცდომებისა და მიღწევების წარმოჩენა, რაც აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული მომავალში.

### **სტატისტიკური მეთოდი**

სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებულ იქნა კვლევის სტატისტიკური მეთოდი. სტატისტიკა შეისწავლის საზოგადოებრივი მოვლენების რაოდენობრივ მხარეს და გვაძლევს ციფრებსა და პროცენტებში გამოხატულ შედეგებს. რიგ შემთხვევაში, იგი ასაბუთებს სახელმწიფო პოლიტიკისა და სამართლის პოლიტიკის ცალკეული მიმართულების, კონკრეტული კანონის ძალაში შესვლის, კანონის გაუქმების ან მასში ცვლილების შეტანის აუცილებლობას. საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის შესახებ არსებულმა სტატისტიკამ

შესაძლოა წარმოაჩინოს პრობლემები, რომლებსაც წარმოქმნის საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობა ან ხარვეზები საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში. სტატისტიკური მონაცემები შესაძლებელია ასევე გამოყენებულ იქნეს კონკრეტული საკანონმდებლო ცვლილებების ეფექტურობის შესაფასებლად. ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის შესახებ არსებულ სტატისტიკურ მონაცემებს უდიდესი პრაქტიკული ღირებულება გააჩნია. თავის მხრივ, საკონსტიტუციო საქმიანობის სტატისტიკური კვლევა მრავალი მიმართულებით შეიძლება განხორციელდეს. მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებულ წლიურ ანგარიშებში ვხვდებით მრავალფეროვან სტატისტიკურ მონაცემებს.

აღსანიშნავია, რომ სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობა გარკვეულ საფრთხეებსაც შეიცავს. ამ მონაცემების არასწორმა გამოყენებამ შესაძლოა განაპირობოს მცდარ დასკვნებამდე მისვლა. სწორედ ამიტომ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სტატისტიკური მონაცემების სათანადო დამუშავება და ანალიზი.

სადისერტაციო ნაშრომში ცალკეული საკითხების შესწავლისას გაანალიზებულია მზა სტატისტიკური მონაცემები. მზა მონაცემებთან ერთად, რიგ შემთხვევებში, სტატისტიკური მონაცემები მიღებულია ინფორმაციის დამუშავების საფუძველზე. მაგალითად, სადისერტაციო ნაშრომში არის შემდეგი ჩანაწერი: „აღსანიშნავია, რომ 2016 წელს საკონსტიტუციო სასამართლოში შევიდა 42 კონსტიტუციური წარდგინება. თუმცა, სტატისტიკური მონაცემების უფრო დეტალური ანალიზი ცხადყოფს, რომ 2016 წელი არ უნდა იქნეს აღქმული, როგორც საკონსტიტუციო სასამართლოსა და საერთო სასამართლოების თანამშრომლობის კუთხით გარდამტეხი ეტაპი“. სტატისტიკური მონაცემების „დეტალურ ანალიზში“ იგულისხმება არა საკონსტიტუციო სასამართლოში შესული კონსტიტუციური წარდგინებების რაოდენობრივი მაჩვენებლის გამოყენება, რომელიც წარმოადგენს საქართველოს

საკონსტიტუციო სასამართლოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებულ მზა ინფორმაციას, არამედ 2016 წელს შესული კონსტიტუციური წარდგინებების შესახებ არსებული სრული ინფორმაციის სტატისტიკური დამუშავება და მათი რაოდენობრივი დაყოფა ქვეკატეგორიებად სადავო საკითხის, ანუ კონსტიტუციური წარდგინების შინაარსის მიხედვით.

1996-2015 წლებში საკონსტიტუციო სასამართლოში შესული კონსტიტუციური წარდგინებების რაოდენობა თავისი სიმცირის გამო წარმოადგენდა იმის მტკიცების საფუძველს, რომ საერთო სასამართლოები სათანადოდ არ იყენებენ მათთვის მინიჭებულ უფლებამოსილებას მოითხოვონ ნორმის კონსტიტუციურობის შემოწმება. თუმცა, 2016 წელს საკონსტიტუციო სასამართლოში დარეგისტრირდა 42 კონსტიტუციური წარდგინება, რაც აღმატებოდა წინა 19 წლის ჯამურ მაჩვენებელს. ერთი შეხედვით, ამ მონაცემზე დაყრდნობით შესაძლებელია იმ მცდარ დასკვნამდე მისვლა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოსა და საერთო სასამართლოებს შორის ურთიერთთანამშრომლობის კუთხით პრობლემა აღმოიფხვრა და ეს საკითხი დამატებით შესწავლას ადარ საჭიროებს. თუმცა, შინაარსობრივი კუთხით საქმეების რაოდენობრივმა დაყოფამ მოგვცა შემდეგი სურათი:

ა) 2016 წელს რეგისტრირებული 42 კონსტიტუციური წარდგინებიდან 19 კონსტიტუციური წარდგინება შეეხებოდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი პუნქტის დებულებების კონკრეტული ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობის დადგენას.

ბ) 2016 წელს რეგისტრირებული 42 კონსტიტუციური წარდგინებიდან 18 კონსტიტუციური წარდგინება შეეხებოდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლის დებულებების კონსტიტუციურობის დადგენას.

გ) 2016 წელს რეგისტრირებული 42 წარდგინებიდან 6 კონსტიტუციური წარდგინება შეეხებოდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (1998 წელის 2 თებერვლის კანონი) მე-10 მუხლის მე-3 ნაწილის კონსტიტუციურობის საკითხს.

ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ რაოდენობრივად 2016 წელს საკონსტიტუციო წარდგინებების მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა, ამ სარჩელების შინაარსობრივი ანალიზით გამოვლინდა, რომ რეალურად კონსტიტუციურ შემოწმებას დაექვემდებარა 3 სხვადასხვა საკითხი. უფრო მეტიც, ეს საკითხები აქტუალური გახდა მხოლოდ იმიტომ, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო მსგავსი ნორმები. სხვა საკითხებზე 2016 წელსაც არ ფიქსირდება საერთო სასამართლოების მიმართვიანობა. ცხადია, საერთო სასამართლოების აქტიურობის ზრდა ნებისმიერ შემთხვევაში ცალსახად დადებით ტენდენციად უნდა ჩაითვალოს, თუმცა, ის ფაქტი, რომ სხვა საკითხებზე მიმართვიანობა არ ფიქსირდება, როგორც ბ. ლოლაძე განმარტავს შეიძლება მხოლოდ ორი მიზეზით აიხსნას: ა) ქართველმა სამართალშემოქმედმა მიაღწია სრულყოფილებას, ბ) საერთო სასამართლოებში კვლავ არ არსებობს სათანადო მზაობა ითანამშრომლონ საკონსტიტუციო სასამართლოსთან. რთულია არ დაეთანხმო ბ. ლოლაძეს იმაშიც, რომ პირველი დაშვების აბსურდულობა გვაფიქრებინებს, რომ სწორედ მეორე შემთხვევაა სახეზე. იმ მოსაზრების სისწორე, რომ 2016 წლის მონაცემები არ იძლევა კმაყოფილების საფუძველს დადასტურდა საკონსტიტუციო სასამართლოს წარდგინებების 2017, 2018 და 2019 წლის რაოდენობრივი მონაცემებითაც.

სწორედ ასეთი კვლევის შედეგად მიღებული სტატისტიკური მონაცემები დაედო საფუძვლად იმის მტკიცებას, რომ არსებობს საერთო სასამართლოების მხრიდან საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის უფლებამოსილების არაეფექტურად გამოყენების პრობლემა, რომელიც უარყოფით გავლენას ახდენს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის ხარისხზე და ასევე აუარყოფითად აისახება საკონსტიტუციო სასამართლოს შესაძლებლობაზე გავლენა მოახდინოს სამართლის პოლიტიკის განვითარებაზე.

## კვლევის შედეგები

სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობისას, დასახული ამოცანების შესაბამისი კვლევის მეთოდების გამოყენებამ შესაძლებელი გახადა საინტერესო და კვლევისათვის რელევანტურ შედეგებამდე მისვლა. დაზუსტდა „სამართლის პოლიტიკისა“ და „კონსტიტუციურ-სამართლებრივი პოლიტიკის“ ტერმინების დეფინიცია და გამოვლინდა საკონსტიტუციო სასამართლოს როლი მათ ფორმირებაში. განისაზღვრა ის სპეციფიური ნიშან-თვისებები, რაც საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც ნეგატიურ კანონმდებელს აქცევს სამართლის პოლიტიკის გავლენიან სუბიექტად. დადგინდა, რომ კონსტიტუციური ნორმების განმარტებისას საკონსტიტუციო სასამართლო არ რჩება კონსტიტუციის ტექსტის ვიწრო განმარტების ფარგლებში და ქმნის „ცოცხალ კონსტიტუციას“. შედეგად დადასტურდა, რომ სამართლის პოლიტიკის ფორმირებაზე განსაკუთრებულ გავლენას ახდენს საკონსტიტუციო სასამართლოს აქტების სამოტივაციო ნაწილში მოცემული განმარტებები და დოქტრინები. დადგინდა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების დასაბუთებულობის ხარისხი, იშვიათი გამონაკლისების გარდა, დამაკმაყოფილებელია. გამოვლინდა საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს საქმიანობის ის ასპექტები, რომლებიც შეიცავს მათი პოზიტიურ კანონმდებლად ქცევის საფრთხეებს და ამ საფრთხეებთან მიმართებით გაანალიზდა საქართველოს კანონმდებლობა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა. საქართველოს კანონმდებლობის შესწავლა განხორციელდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების მოცულობის ჭრილშიც და გამოიკვეთა გარკვეული პრობლემები. ამ შედეგებმა შესაძლებელი გახადა საბოლოო დასკვნებისა და რეკომენდაციების ჩამოყალიბება.

## განსჯა და მეცნიერული მიგნებები

სადისერტაციო ნაშრომი შედგება ოთხი თავისაგან. პირველ თავში აღწერილია კვლევის მეთოდოლოგია. მეორე თავში

წარმოჩენილია სამართლის პოლიტიკის ცნების განმარტებები, რომლებიც შემოთავაზებულია სამეცნიერო ლიტერატურაში. ერთმანეთისაგან გამიჯნულია სამართლის პოლიტიკა და კონსტიტუციურ-სამართლებრივი პოლიტიკა. აღნიშნულის პარალელურად გააზრებულია საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც ნეგატიური კანონმდებლის მნიშვნელობა, მისი, როგორც სამართლის პოლიტიკის სუბიექტის განსაკუთრებული მახასიათებლები და როლი სამართლის პოლიტიკისა და კონსტიტუციურ-სამართლებრივი პოლიტიკის ფორმირებაში. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც სამართლის პოლიტიკის სუბიექტის არსის გასააზრებლად პრინციპულად მნიშვნელოვანია მისი საქმიანობის ფარგლების ზუსტი აღქმა. სწორედ ამიტომ, ამავე თავში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა სახელისუფლო ტრიადაში საკონსტიტუციო სასამართლოს ადგილის გააზრებას და იმის ანალიზს, თანამედროვე საკონსტიტუციო სასამართლო წარმოადგენს კვაზიპოზიტიურ კანონმდებელს, თუ სამართლის პოლიტიკის ავტორს. საკვლევი საგნის ანალიზისას, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობაში გამოვლინდა ძირითადი შესასწავლი საკითხისაგან აბსტრაქტიზებული ხარვეზები, თუმცა ამავდროულად დადგინდა, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების ფარგლები შეესაბამება ნეგატიური კანონმდებლის სტატუსს. სადისერტაციო ნაშრომის მეორე თავში გამოკვეთილია პოზიტიური სამართალშემოქმედებითი საქმიანობის კონკრეტული რისკებიც და გაანალიზებულია კანონმდებლობასა და პრაქტიკაში არსებული ის ბერკეტები, რაც ამცირებს ამ რისკებს. საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც ნეგატიური და პოზიტიური კანონმდებლის ანალიზის პარალელურად, ამავე თავში საკონსტიტუციო სასამართლო წარმოჩენილია როგორც პოტენციური არბიტრი და დასაბუთებულია მისი, როგორც პოტენციური არბიტრის დადებითი ეფექტი სამართალშემოქმედებით პროცესსა და სამართლის პოლიტიკის ფორმირებაზე.



სადისერტაციო ნაშრომის მესამე თავი ეთმობა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ნორმის განმარტების ფარგლებისა და მეთოდების თეორიულ შესწავლას და განმარტების უფლებამოსილების ჭრილში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის ანალიზს.

ნორმის, უპირველესად კი კონსტიტუციური ნორმის განმარტების უფლებამოსილების ფარგლები არის ერთ-ერთი გადაწყვეტი სამართლის პოლიტიკის ფორმირების კუთხით საკონსტიტუციო სასამართლოს როლის განსაზღვრისას. კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებით საკონსტიტუციო სასამართლო ადგენს სტანდარტს, რომლის მნიშვნელობა სცილდება კონკრეტულ სასამართლო საქმეს. სწორედ ეს სტანდარტები და განმარტებები წარმოადგენენ სამართლის პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს წყაროს. ამდენად, რაც უფრო შეზღუდულია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ კონსტიტუციური ნორმის განმარტების უფლებამოსილება, მით უფრო ნაკლებია მისი გავლენა სამართლის პოლიტიკის ფორმირებაზე და პირიქით. სწორედ ამიტომ, სადისერტაციო ნაშრომის მესამე თავში გაანალიზებულია ძირითადი მიდგომები და თეორიები, რომლებიც განსაზღვრავენ, თუ როგორი შეიძლება იყოს კონსტიტუციის განმარტებისას მოსამართლეთა დისკრეციის ფარგლები და წარმოჩენილია ამ შესაძლებლობებიდან რომელს აღიარებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. სადისერტაციო ნაშრომის ამავე თავში გაანალიზებულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაც, რაც საშუალებას იძლევა თეორიული მსჯელობის პარალელურად, კონკრეტული მაგალითების საფუძველზე, წარმოჩინდეს თუ როგორია პრაქტიკულ რეალობაში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობა ნორმების განმარტების ჭრილში. ამ მიზნით სადისერტაციო ნაშრომში შესწავლილია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა საქართველოს კონსტიტუციის მე-11, მე-15, 25-ე და 31-ე მუხლებით დაცულ უფლებებთან მიმართებით.

საკონსტიტუციო სასამართლოს მნიშვნელობა და მისი როლი სამართლის პოლიტიკის ფორმირებაში მისი საქმიანობის ეფექტურობისა და ქმედითობის პროპორციულია, რაც, თავის მხრივ, დამოკიდებულია კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს კომპეტენციასა და საქმიანობის წესზე, რომელიც განისაზღვრება კანონმდებლობითა და საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული პრაქტიკით. სწორედ ამიტომ, სადისერტაციო ნაშრომის მეოთხე თავში, ერთი მხრივ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის საფუძველზე გაანალიზებულია საკონსტიტუციო სამართალწარმოების პოლიტიკა და, მეორე მხრივ, შესწავლილია და კრიტიკულად გაანალიზებულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების მარეგულირებელი კანონმდებლობა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების ფარგლები.

### **დასკვნები და რეკომენდაციები**

მეცნიერების ერთ-ერთ ფუნქციას წარმოადგენს ამა თუ იმ ნაკლებად შესწავლილ საკითხებზე ახალი ცოდნის მიღება, ან უკვე არსებული ცოდნის სისტემატიზაცია. სწორედ ამიტომ, მოცემული ნაშრომის ერთ-ერთ მთავარ ღირებულებას წარმოადგენს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც სამართლის პოლიტიკის სუბიექტის ფუნქციის მეცნიერული დასაბუთება, იმ მეთოდების შესწავლა, რითაც ის ზემოქმედებს სამართლის პოლიტიკაზე და საქართველოს რეალობასა თუ კანონმდებლობაში არსებული იმ დადებითი და უარყოფითი მხარეების წარმოჩენა, რომელიც ხელს უშლის, ან პირიქით, ეხმარება მას ამ ფუნქციის რეალიზაციაში.

სადისერტაციო ნაშრომში დასაბუთებულია, რომ სამართლის პოლიტიკის შექმნა არ არის ხელისუფლების ერთი რომელიმე შტოსათვის მიკუთვნებული უფლებამოსილება. მეტიც, სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთ მახასიათებელს წარმოადგენს სწორედ ის, რომ სამართლის პოლიტიკის შემუშავებაში მონაწილეობს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სუბიექტი, მათ შორის, საკონსტიტუციო

სასამართლო და ეს ვერ აღიქმება მის მიერ თავისი უფლებამოსილების გადამეტებად და ხელისუფლების დანაწილების პრინციპის ხელყოფად. აღნიშნულის პარალელურად, ნაშრომში დასაბუთებულია სამართლის პოლიტიკის განვითარებაში საკონსტიტუციო სასამართლოს განსაკუთრებული როლი როგორც შინაარსობრივი, ისე ფუნქციური თვალსაზრისით. შინაარსობრივი კუთხით მისი განსაკუთრებულობა გამოვლინდა იმ ასპექტში, რომ საკონსტიტუციო სასამართლო ქმნის ორდონიან სამართლის პოლიტიკას. ფუნქციური თვალსაზრისით მის უნიკალურობას განაპირობებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სპეციფიური თვისებები, კერძოდ: საკონსტიტუციო სასამართლო, როგორც ნეგატიური კანონმდებელი ცვლის არსებულ სამართლებრივ რეალობას; საკონსტიტუციო სასამართლო, როგორც პოტენციური არბიტრი, ზეგავლენას ახდენს სამართლის პოლიტიკის განვითარებაზე; საკონსტიტუციო სასამართლოს მეშვეობით სამართლის პოლიტიკაზე პირდაპირ ზემოქმედებენ ცალკეული ინდივიდები და პირთა ჯგუფები; საკონსტიტუციო სასამართლოში სამართლის პოლიტიკას ქმნიან პროფესიონალი იურისტები; სასამართლოს გადაწყვეტილება მიიღება სპეციალური სამართალწარმოების წესების დაცვით; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო დამოუკიდებელია სამართლის პოლიტიკის სხვა სუბიექტებისაგან.

სადისერტაციო ნაშრომში სამართლის პოლიტიკის განვითარების ჭრილში გამოვლენილი და დასაბუთებულია საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც პოტენციური არბიტრის არსი და მნიშვნელობა. ამასთანავე, სადისერტაციო ნაშრომი წარმოაჩენს, რომ სამართლის პოლიტიკის ფორმირებისას საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, უმეტეს შემთხვევაში, მოქმედებს როგორც ნეგატიური კანონმდებელი. საქართველოს კანონმდებლობისა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის ანალიზი ადასტურებს, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობა არ უნდა იქნეს აღქმული პოზიტიურ კანონშემოქმედებად.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც სამართლის პოლიტიკის სუბიექტის შესწავლა მრავალწახნაგოვან თემას წარმოადგენს. მოცემული სადისერტაციო ნაშრომი არის საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც სამართლის პოლიტიკის სუბიექტის მეცნიერული კვლევის პირველი მცდელობა. სწორედ ამიტომ, განხორციელდა საკითხის კომპლექსურ კვლევა, რომელიც მეტ-ნაკლები მოცულობით შეეხება ამ თემის თითოეულ ელემენტს. თავის მხრივ, თითოეული ეს ელემენტი შესაძლებელია დაექვემდებაროს დამოუკიდებელ ფართომასშტაბიან კვლევას. მაგალითად, მარკ მილერისა და ჯეი ბარნესის წიგნი “Making Policy, Making Law”, რომელიც 256 გვერდის მოცულობისაა, აქცენტირდება სამართლის პოლიტიკის შექმნის დროს სახელისუფლო შტოებს შორის ურთიერთობაზე.

აღნიშნულის გათვალისწინებით, სადისერტაციო ნაშრომის თეორიული ღირებულება მდგომარეობს იმაში, რომ კვლევის შედეგები შეიძლება გამოიყენონ: ა) მეცნიერებმა, როგორც საფუძველი საკითხის შემდგომი კვლევებისათვის; ბ) დაინტერესებულმა პირებმა ან ორგანიზაციებმა როგორც დამხმარე სასწავლო მასალა, ან საფუძველი მცირე სასწავლო კურსის შედგენისათვის.

სადისერტაციო ნაშრომში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სამართლის პოლიტიკის ფორმირებაზე ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობის თეორიული ასპექტების კვლევასთან ერთად გაანალიზებულია რამდენად ეფექტურად იყენებს იგი ამ შესაძლებლობას. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის ანალიზის შედეგად დასაბუთებულია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შეაქვს მნიშვნელოვანი წვლილი სამართლის პოლიტიკის ფორმირებაში იმდენად, რამდენადაც ის სადავო ნორმისა და კონსტიტუციური ნორმის განმარტებისათვის იყენებს განმარტების ხერხებისა და მეთოდების ფართო სპექტრს და განსახილველ საკითხთან მიმართებით ვრცლად აყალიბებს საკუთარ მოსაზრებებს, რომლებიც სამართლებრივ დოქტრინებად გარდაიქმნება. სწორედ ასეთი გადაწყვეტილებები ქმნის სამართლის

პოლიტიკას. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს აქტები შინაარსისა და ხარისხის თვალსაზრისით უდაოდ აკმაყოფილებს სტანდარტებს. თუმცა, გამონაკლის შემთხვევებში, სასამართლოს აქტების სამოტივაციო ნაწილი შეიცავს არათანმიმდევრულ, ბუნდოვან ან ორაზროვან დებულებებს, რომელთა ნაწილი გამოვლენილია სადისერტაციო კვლევის ფარგლებშიც. სასურველია ეს ბუნდოვანება აღმოიფხვრას, თუნდაც ამ ერთეული შემთხვევების დონეზე. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის ანალიზის საერთო სურათიდან შესაძლებელია ცალკე ნაწილად გამოიყოს საკონსტიტუციო სამართალწარმოების პოლიტიკა, როგორც კვლევის საგანი.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს როლი სამართლის პოლიტიკის ფორმირებაში მისი საქმიანობის ეფექტურობისა და ქმედითობის პროპორციულია. საკონსტიტუციო სასამართლოს ქმედითობა კი დამოკიდებულია მის კომპეტენციასა და საქმიანობის წესზე, რომელიც განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობითა და საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული საკონსტიტუციო სამართალწარმოების პოლიტიკით, რომელიც სამართლის პოლიტიკის ქვეკატეგორიად შეიძლება იქნეს მიჩნეული. საკონსტიტუციო სამართალწარმოების პოლიტიკის შემუშავების კუთხით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების ფარგლები განსაკუთრებით დიდია. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილებებსა და განჩინებებში გაკეთებული განმარტებები და ამ განმარტებების საფუძველზე ჩამოყალიბებული პრაქტიკა ფაქტობრივად ქმნის სამართლებრივად სავალდებულო სტანდარტებს და განსაზღვრავს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის წესს. სადისერტაციო ნაშრომში განხორციელდა კონსტიტუციური სარჩელებისა და წარდგინებების დასაშვებობის პრაქტიკის ანალიზი და მოხდა მიღებული შედეგების სისტემატიზაცია იმ სახით, რომ ის შეიცავს ღირებულ ინფორმაციას საკონსტიტუციო სასამართლოსათვის კონსტიტუციური სარჩელითა და წარდგინებით მიმართვის სურვილის მქონე პირთათვის.

ამასთანავე, ამ ნაწილში გამოვლინდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა მხრიდან გაუმართლებელი თვითშეზღუდვის რამდენიმე მაგალითი. საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვის უფლების ეფექტური რეალიზაციისათვის სასურველია ამ საკითხებთან მიმართებით გადაიხედოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა. ამ თვალსაზრისით, სადისერტაციო ნაშრომში კონსტიტუციური მართლმსაჯულების რიგ საკითხებზე შეთავაზებულია ახალი კონსტიტუციური სტანდარტები, რომელთა დანერგვა, რომლებიც ხელს შეუწყობს საკონსტიტუციო სასამართლოს თავისი კონსტიტუციური ვალდებულების უკეთ რეალიზებაში.

რიგ შემთხვევებში, საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის ეფექტურობაზე უარყოფით გავლენას ახდენს კანონმდებლობა და მასში არსებული ხარვეზები. ამ ხარვეზების ნაწილი გამოვლენილია სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის დროს. გამოვლენილი ხარვეზების შესაბამისად, სადისერტაციო ნაშრომში შემოთავაზებულია საკანონმდებლო წინადადებები, მეცნიერული და პრაქტიკული რეკომენდაციები. რომლებიც შესაძლებელია საფუძვლად დაედოს საკანონმდებლო ცვლილებათა პროექტს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სადისერტაციო ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება მდგომარეობს იმაში, რომ მასში მოცემული ინფორმაცია შეიძლება გამოიყენონ: ა) სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებმა კანონმდებლობის შემუშავებისა და დახვეწისათვის; ბ) სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლებმა ბუნდოვანი და ორაზროვანი გადაწყვეტილებების დახვეწისათვის; გ) ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა, როგორც გზამკვლევი საკონსტიტუციო სარჩელის შედგენისას.

Grigol Robakidze University

With the right of manuscript

Ana Kuchukhidze

The Role of the Constitutional Court of Georgia in the Formating of  
Low Police

Educational programme: Law

Thesis is presented for obtaining of the PhD Degree in Law

Abstract

Tbilisi

2021

Grigol Robakidze University

Scientific supervisor: **Anna Phirtskhalashvili**  
Doctor of Law, Professor

The date of the defence will be published on the website of university:  
[www.gruni.edu.ge](http://www.gruni.edu.ge)

The defense of the dissertation will take place at Grigol Robakidze University at a session of the Certifying Committee of Experts of the School of Law.

The dissertation is available at the library of Grigol Robakidze University, Tbilisi, Irina Enukidze №3 (David Agmashenebeli Alley 13).



**Table of contents:**

|  |    |
|--|----|
| Introduction.....                              | 34 |
| Short review of the scholarly literature ..... | 41 |
| Methodology and research description .....     | 41 |
| Research results .....                         | 47 |
| Discussion and theoretical findings.....       | 48 |
| Conclusions and recommendations .....          | 50 |

## Introduction

### Relevance of the research

In the modern world, when the goal of every State under the rule of law is to build and develop a democratic State, priority is given to the quality of normative acts and their efficiency, further, to the improvement of the legal system and its harmonization with the international standards. The above goal may not be achieved without proper legal policies as the legal acts are an outcome of the legal policies. Therefore, stemming from such a significance, it is necessary that research to be available identifying the ways and means of formation of legal policies.

